საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა
(იანვარი-მარტი, 2023)

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა

(იანვარი - მარტი, 2023)

თბილისი

2023

კვარტალური მიმოხილვა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2023

შესავალი

საქართველოში დღემდე მოქმედებს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოგიდგენთ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 31 მარტამდე პერიოდის კვარტალურ მიმოხილვას, რომელიც ამ დროის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მომხდარ ძირითად მოვლენებს აერთიანებს.

განსახილველ პერიოდში განსაკუთრებით პრობლემური იყო მარტში მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავება სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე და მათ მიმართ წარმოებული საქმეები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2023 წლის 7 მარტს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, 66 პირი დააკავეს.[1] სხვა საკითხებთან ერთად, კვლავ პრობლემური იყო დაკავებული პირების ადგილსამყოფლის დადგენა ოჯახის წევრებისა

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული განცხადება, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15699 (ნანახია: 22.05.2023).

და ადვოკატების მიერ. ამის შესახებ საუბრობდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც.[2] ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა წერილობითი განცხადებაც წარადგინა შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.[3] დაკავებულები, რომელთა მონახულებაც ომბუდსმენის წარმომადგენლებმა შეძლეს, მიუთითებდნენ დაკავების უხეშ ფორმებზე, ხოლო ზოგიერთ მათგანს აღენიშნებოდა დაზიანებები. რამდენიმე დაკავებულის თაობაზე, მათივე სურვილითა და თანხმობით, სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.[4] 7-8 მარტის დემონსტრაციაზე მყოფი პირების მიმართ სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო ძალის გადამეტებისა და დაზიანების მიყენების ფაქტებზე ამ დღეებში მოქალაქეებისგან, ჟურნალისტებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 22 შეტყობინება შევიდა.[5]

---

[2] პოდკასტი N5, მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GYLA.ge/videos/798698354947738 (ნანახია: 22.05.2023).
[3] სახალხო დამცველის 2023 წლის 16 მაისის წერილი N24/4763.
[4] სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi (ნანახია: 22.05.2023).
[5] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-gancxadeba/303 (ნანახია: 22.05.2023).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2023 წლის პირველ კვარტალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის **1729 შემთხვევა** გამოვლინდა.[6] აქედან:

166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (წვრილმანი ხულიგნობა)	**720**
173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**1009**

მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ კვარტალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე იზოლატორებში **ჯამში 1 585 პირი** მოათავსეს.[7] აქედან:

166-173 მუხლების საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**662**
მხოლოდ 173-ე მუხლის საფუძველზე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**420**
მხოლოდ 166-ე მუხლის საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა)	**78**

[6] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=772&parent_id=771 (ნანახია: 22.05.2023).
[7] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=770&parent_id=233 (ნანახია: 22.05.2023).

აქტივობები პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, გასული წლის განმავლობაში უნდა შემუშავებულიყო ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამუშაო ვერსია.[8] ამის მიუხედავად, 2022 წელს კანონპროექტის სამუშაო ვერსია არ ყოფილა წარდგენილი დაინტერესებული პირებისთვის. ნაცვლად ახალი კოდექსის პროექტის შემუშავებისა და მის მისაღებად საჭირო პროცედურების დაწყებისა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, კომიტეტის ინიციირებით არაერთი არაარსებითი ცვლილება შევიდა არსებულ კოდექსში. მათ შორის, გამკაცრდა ზოგიერთი სამართალდარღვევისთვის დადგენილი სანქციები, ზოგი მათგანის შინაარსი კი დაზუსტდა. მაგალითად, ასეთი ცვლილებები შეეხო პარკირების წესებს, ცივი იარაღის ტარებას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებს, სამშენებლო საკითხებს და სხვ.[9]

ცვლილებებს შორისაა 238[1]-ე მუხლი, რომელიც ადგენს მოსამართლის უფლებამოსილებას, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრო-

[8] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files-22.pdf (ნანახია: 11.02.2023).

[9] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/OpenFile/6146, (ნანახია: 22.05.2023).

ბის ან შესაძლო მოპყრობის შემთხვევაში მიმართოს საგამოძიებო უწყებას.[10]

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პირველი საკითხი, წინა წლის გეგმის მსგავსად, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსზე მუშაობას შეეხება. გეგმის მიხედვით, ამჯერად უკვე 2023 წელს უნდა შემუშავდეს კანონ-პროექტის სამუშაო ვერსია.[11]

[10] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5591359?publication=0#DOCUMENT:1 (ნანახია: 22.05.2023).

[11] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/OpenFile/6145, (ნანახია: 22.05.2023).

საქმეების მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ რამდენიმე საინტერესო საქმე განიხილა. ამ საქმეებზე მიღებული დადგენილებების შინაარსი და სასამართლოების მიერ გამოყენებული სტანდარტები პრობლემურია და, უმეტესად, ეწინააღმდეგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას:

❍ TIK-TOK-ის პლატფორმაზე გამოქვეყნებული ვიდეოს საფუძველზე პირის სამართალდამრღვევად ცნობა

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2023 წლის 10 მარტის დადგენილებით, კურიერი ი.მ. ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად Tik-Tok-ის პლატფორმაზე განთავსებული ვიდეოს შინაარსის გამო. მას სანქციის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.[12]

სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევად ცნობილი პირი არის კურიერი, რომელსაც ქალაქში უწევს მოპედით გადაადგილება. მან სოციალურ ქსელ Tik-Tok-ში გამოაქვეყნა ვიდეო სათაურით: *„ვისაც გინების მოსმენა არ გსურთ, არ უყუროთ და არ უსმინოთ“*. ვიდეოში პირი გამოხატავს მწვავე პროტესტს თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართ. იგი აკრიტიკებს იმ ადამიანებს, რომლებიც

[12] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის დადგენილება საქმეზე N4/456-23.

თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებენ და პრივილეგირებული მდგომარეობით სარგებლობენ. პროტესტი მიემართება იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს უფლებას აძლევენ, იმოძრაონ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილ ზოლში (ე.წ. ბასლაინი), სადაც ნებისმიერი პირისთვის, მისი თანამდებობის მიუხედავად, გადაადგილება აკრძალულია. იგი ასევე მწვავედ აკრიტიკებს და ლანძღავს იმ პოლიციელებს, რომლებიც შერჩევითად აჯარიმებენ მოქალაქეებს, ხოლო სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებსა და მათთან დაახლოებულ პირებს დარღვევაზე პასუხს არ სთხოვენ.

სასამართლოს განმარტებით, Tik-Tok მიიჩნევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით განსაზღვრულ საზოგადოებრივ სივრცედ და ადგილად. ამასთანავე, სოციალური ქსელი, მათ შორის Tik-Tok, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი, განეკუთვნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს ამ პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებისას აქვს ვალდებულება, დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები. სასამართლოს მოსაზრებით, გამოქვეყნებული ვიდეოს შინაარსი სცილდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. სასამართლომ არ იმსჯელა სოციალური ქსელის ხასიათზე და არ დაასაბუთა, რა ფორმით დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა მოქალაქეების სიმშვიდე.

რაც შეეხება ამავე საქმის ფარგლებში 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, სასამართლომ დაადგინა, რომ: „ი.მ-ის მიერ 2022 წლის 10 დეკემბერს ჩადენილი ქმედება, კერძოდ, სოციალურ ქსელში განთავსებულ ვიდეოში ასახული სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით განსაზღვრულ

ქმედებას. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული ვიდეო შეიცავს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების სიტყვიერ შეურაცხყოფას მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებიდან გამომდინარე. ეს ვიდეო სოციალურ ქსელში ნახა კონკრეტულმა პოლიციელმა და აღიქვა შეურაცხყოფად, რასაც მოჰყვა შესაბამისი შედეგი - სამართალდამრღვევი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა".

ხსენებული გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ საკმაოდ სახიფათო პრეცედენტად, რომელიც ეწინააღმდეგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსებულ სტანდარტებს.

❍ პირის სამართალდამრღვევად ცნობა FACEBOOK-ზე გამოქვეყნებული პოსტის საფუძველზე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის დადგენილებით, ძალაში დარჩა ბათუმის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოქალაქე სამართალდამრღვევად იყო ცნობილი Facebook-ის პირად გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.[13] საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სამართალდამრღვევად ცნობილმა პირმა სოციალურ ქსელ Facebook-ის პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და პოლიციის თანამშრომლებს გამიზნულად, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი უცენზურო სიტყვებით მიაყენა შეურაცხყოფა.

[13] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის დადგენილება საქმეზე N4/ა-182-23.

სასამართლომ 166-ე მუხლთან მიმართებით აღნიშნა, რომ „სოციალური ქსელი, მათ შორის Facebook, წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება, დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს, სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ეს არის საზოგადოების წევრთა ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების სიმშვიდეს და გამოხატულებას პოვებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობაც სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზანს ემსახურება“.

სასამართლოს შეფასებით, „საზოგადოებრივი კომუნიკაციის და თავშეყრის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) და ყველაზე კომფორტული ადგილი ხდება სწორედ სოციალური ქსელი და იმისათვის, რომ საზოგადოება წვრილმანი ხულიგნობის ფაქტის თვითმხილველი გახდეს, საერთოდ არ არის აუცილებელი, ფიზიკურად შეესწრონ ამ ფაქტს, მაშინ, როდესაც კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ყველა ნიშანი გამოიხატება პირის მიერ სოციალურ ქსელში განხორციელებულ ქმედებაში“.

რაც შეეხება 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, სასამართლომ მიუთითა, რომ „სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ პერიოდით, როდესაც ის გამოავლენს სამართალდარღვევის, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხასიათის ფაქტს და ადგილზე განახორციელებს საქმის წარმოების სხვადასხვა საპროცესო მოქმედებას, არამედ ამ დროში იგულისხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან/და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შემდგომი პროცედურების განხორციელების დროც და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ნებისმიერი

მოქმედება, სამსახურებრივი მდგომარეობა, რაც უკავშირდება კონკრეტული საქმის წარმოებას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობის ფორმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე. შესაბამისად, ნორმა პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფის სახით არ გულისხმობს მხოლოდ იმ მართლსაწინააღმდეგო ქცევას, რომელიც ხდება უშუალოდ სამართალდარღვევის ჩადენის/გამოვლენის ან რომელიმე საპროცესო მოქმედების განხორციელების ადგილას". ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა პოლიციელისთვის შეურაცხყოფის მიყენების დროსა და ვითარებას.

❍ საჯარო სივრცეში კარვის დადგმა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

სენაკის რაიონულმა სასამართლომ განიხილა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლისა და ამ ფაქტზე მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[1]-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, ასკ-ის 150-ე მუხლის მე-2[2] ნაწილი). სასამართლომ პირი ცნო სამართალდამრღვევად და სანქციის სახედ და ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.[14] გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2023 წლის 23 მარტის დადგენილებით.[15]

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრის

[14] სენაკის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება საქმეზე N4/179-4/180.
[15] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის დადგენილება საქმეზე N4/ა-182-23.

მიმდებარედ მოქალაქემ თვითნებურად განათავსა მსუბუქი კონსტრუქცია (კარავი), რის გამოც მის წინააღმდეგ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. განხილვისას მოქალაქემ განმარტა, რომ კარვის კონსტრუქციის დადგმით მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რადგან, როგორც სამოქალაქო აქტივისტმა, ამ ქმედებით გამოხატა პროტესტი სენაკის მერიის თანამშრომლების მიმართ. სასამართლოს დადგენილებაში არ წარმოუდგენია რაიმე კონკრეტული დასაბუთება კარვის საკითხზე, მხოლოდ შემოიფარგლა მსჯელობით, რომ ამ ტიპის კონსტრუქციის დადგმით შეიცვალა ქალაქის იერსახე.

აღსანიშნავია, რომ კარვის დადგმის საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯერ კიდევ 2016 წელს უკანონოდ ცნო ქ. თბილისის მერიის ქმედება, რომლითაც მოსარჩელეებს შეეზღუდათ მშვიდობიანი შეკრების უფლება და არ მიეცათ კარვის განთავსების შესაძლებლობა. ამ საქმეში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს დაევალა, მოსარჩელეებს მისცემოდათ საშუალება, განეთავსებინათ კარავი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის წინ, მოსარჩელეთა მიერ შერჩეულ ადგილზე.